საპატრიარქო მილოცვა ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონს დაბადების 55 წლის იუბილესთან დაკავშირებით

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ, მოსკოვის საპატრიაქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარეს, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონს დაბადების 55 წლისთავი მიულოცა.

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, მაღალყოვლადუსამღვდელოეს ილარიონს, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტს, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარეს, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მუდმივ წევრს

თქვნო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ!

გულითადად გილოცავთ 55 წლის იუბილეს.

ფლობთ რა მრავალ უნარსა და ნიჭს, რომლებიც შემოქმედმა ღმერთმა უხვად მოგმადლათ, თქვენ შეუქცევლად ისწრაფვით, გულმოდგინედ და პასუხისმგებლობით შეასრულოთ ყოველგვარი მორჩილება, რასაც სამღვდელო იერარქია გაკისრებთ. მხოლოდ იმ თანამდებობათა ჩამონათვალიც კი, რომლებიც ამჟამად გიკავიათ, მკაფიოდ ლაპარაკობს თქვენს მნიშვნელოვან წვლილზე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის თანამედროვე ცხოვრების სხვადასხვა სფეროს განვითარებაში.

სიხარულით აღვნიშნავ, რომ თქვენი მოღვაწეობა – იქნება ეს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარეობა, ზოგადსაეკლესიო ასპირანტურისა და დოქტორანტურის რექტორობა, მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალის სარედაქციო საბჭოს ხელმძღვანელობა, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომა და მუსიკალური შემოქმედება, სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობა, სხვადასხვა რელიგიური ტრადიციების წარმომადგენლებთან დიალოგი თუ მასმედიაში გამოსვლა – თქვენ ყოველთვის ცდილობთ, გასაგებად და დამაჯერებლად დაამოწმოთ უფალი და მაცხოვარი ჩვენი, მართლმადიდებლური სარწმუნოების გარდამქმნელი და აღმაშენებელი ძალა, ქრისტიანობის ისტორიული, სულიერი და კულტურული მემკვიდრეობა.

ყურად ვიღებთ რა თქვენს გულმოდგინე მსახურებას, სამართლიანად მიმაჩნია, 55 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ღირსგყოთ თქვენ ღირსი სერგი რადონეჟელის (II ხარისხის) ორდენით.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს, ლოცვით გისურვებთ სულიერ და ხორციელ სიმტკიცეს თქვენს მომავალ მოღვაწეობაში წმინდა ეკლესიის სასარგებლოდ.

დაე, ყოვლადუხვი უფალი გფარავდეთ სიკეთესა და სიჯანსაღეში მრავალჟამიერ.

ქრისტესმიერი სიყვარულით

+კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87781/